



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492211910

თარიღი:29/04/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 58

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ

2020-2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს მიერ 2020-2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

(თან ერთვის).

აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს ანგარიში 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“- სმიერ 2021-2022 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის“ მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოს შესახებ

გამოფენები

2020 წელს ტურიზმის განვითარების ცენტრმა მონაწილეობა მიიღო ისრაელის ქალაქ თელავივის „IMTM Tel-Aviv 2020“- საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე. ვიზიტორებს წყალტუბოში არსებული ტურისტული პროდუქტების და ლოკაციების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლოთ. ღირებულება 3459 ლარი.

ინფო-ტურები

პანდემიის გამო ვერ შედგა

ტრენინგები-ღონისძიებები-ვებინარები

მონაწილეობა მივიღეთ ონლაინ შეხვედრებზე:

გასტრონომიის, კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის საერთაშორისო ინსტიტუტის (IGCAT) ვებინარი „პოსტ COVID 19 -ის ეპოქაში ტურიზმის სექტორის აღდგენის სტრატეგიები“.

ორგანიზატორი: განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის კულტურული მარშუტების სამმართველო.

/საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ გამართულ ვებინარზე სახელწოდებით : „SUB REGIONAL INNOVATION POLICY OUTLOOK AND THE INNOVATION FOR SUSTAINABLE REVIEW OF GEORGIA“

/თემა: „კრიზისის არსი და ფილოსოფია“ გუნდური მუსაობის, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტისა, მარკეტინგისა და კრიტიკული აზროვნების თემებზე. ორგანიზატორი:-DMO.

/თემა: ტურიზმის და მასპინძლობის ინდუსტრიის გამოწვევები მსოფლიოს ახალ რეალობაში ტურიზმის ინდუსტრიის მდგომარეობის მსოფლიო მიმოხილვა, საქართველოს ტურისტული ბაზრის ზოგადი მართვის მექანიზმები პოსტ ეპიდემიური მასპინძლობის

ტენდეციები, სამომხმარებლო ქცევის ახალი რეგულაციები მსოფლიოში მომსახურების და მასპინძლობის როლი ტურიზმში, შიდა ტურიზმის ჰანვითარების პერსპექტივები ქართული სტუმარ -მასპინძლობის უპირატესობები. ორგანიზატორი:-DMO

/თემა: „ბრენდი და ბრენდინგის არსი“, ორგანიზატორი DMO.

მარკეტინგული აქტივობები

/ვიქირავეთ სარეკლამო ადგილი შპს „ალმა“-სგან წყალტუბოს პარკის შესასვლელში , სადაც გაიკრა საახალწლო მილოცვა 2019-2020 წელს სულ ორჯერ, ღირებულებამ შეადგინა 2468 ლარი.

/საახალწლო განათების შექმნა ინოვაციების ცენტრისთვის „ტურისტული საინფორმაციო ცენტრი“-სთვის და ცივი ტბის ტერიტორიაზე განთავსებული რკინის კონსტრუქციის ნაძვის ხისთვის, ღირებულება 2150 ლარი.

/ინოვაციების ცენტრის გახსნის პრეზენტაცია (გარე და შიდა ფასადის მორთვა, ფურშეტი 20 კაცზე) ღირებულება 1200 ლარი

/რადიო „ჰოლდინგ -ფორტუნაზე“-ზე წყალტუბოს პოპულარიზაციის მიზნით გაკეთდა რეკლამა. (2019 წლის ვალდებულის სახით გადმოტანილი თანხა 2120 ლარი)

/ისტორიული თერმული ქალაქების ევროპული მარშუტების მობილურ აპლიკაციაში განვაახლეთ წყალტუბოში არსებული ობიექტების შესახებ ინფორმაციები და ფოტო მასალები, აგრეთვე დავამატეთ ახალი ობიექტები.

/იმერეთის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია “DMO“-სთან ერთად მოვამზადეთ წყალტუბოში საფეხმავლო ბილიკი ტურისტებისთვის, რომელიც დაიტანება საფეხმავლო ელექტრონულ რუკაზე.

ინფრასტრუქტურა

“ინოვაციების ცენტრი“-სთვის შევიძინეთ ინვენტარი (საოფისე მაგიდები 15ც. კომპიუტერის მაგიდები და საოფისე კარადა) რომლის ღირებულებამ შეადგინა 3800 ლარი.

„ინოვაციების ცენტრი“-ს გარე ფასადზე განთავსდა განათებული სარეკლამო აბრა ცენტრის სახელწოდებით, რომლის ღირებულებამ შეადგინა 1900 ლარი

ტურისტული საინფორმაციო ცენტრში შევიძინეთ სკამი-საინფორმაციო ცენტრის ტურ - ოპერატორებისათვის, ორი სკამი და ერთი მაგიდა ცენტრში შემოსული ვიზიტორებისათვის ღირებულება 970 ლარი.

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი-ს შენობის გარე ფასადზე გაიკრა აბრა წარწერით,

„ტურისტული საინფორმაციო ცენტრი.“ ასევე აბრები გაკეთდა საკრებულოს შენობაზე, ღირებულება 1390 ლარი.

აღვადგინეთ პარკის და ცივი ტბის ტერიტორიაზე უსადენო ინტერნეტ კავშირი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ფუნქციონირებს ღირებულებამ შეადგინა 3045 ლარი.

სხვა ხარჯები

კომუნალური (წყალი, დენი) 2132 ლ.

დაცვა 3058 ლ

ინტერნეტი 2135 ლ

ავტო მანქანის შეკეთება 560 ლ.

საწვავი 2957 ლ

ელ.დოკუმენტბრუნვა 480ლ

ფიჭური კავშირგაბმულობა 718 ლ

სხვა დანარჩენი 1031 ლ

წყალტუბოში შემოსული ტურისტთა რაოდენობა:

პრომეთეს მღვიმე-10581

სათაფლის მღვიმე-6002

განთავსების ობიექტები- 7550

ტურისტული საინფორმაციო ცენტრი-60

მუზეუმები-1078 (ოტია იოსელიანის მუზეუმი -228, ნიკო ლორთქიფანიძის მუზეუმი -400, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი-350, გიორგი ახვლედიანის მუზეუმი -100)

ტურისტები შემოვიდა შემდეგი ქვეყნებიდან: საქართველო, აზერბაიჯანი, გერმანია, პოლონეთი.

ა (ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ს 2021 წლის ანგარიში

მოგახსენეთ, რომ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობის გამო (კოვიდ-19) არ ჩატარდა და ვერ მივიღეთ მონაწილეობა მსოფლიო ტურისტული გამოფენებზე, ვერ ვუმასპინძლეთ უცხოელ და ადგილობრივ ჟურნალისტებსა და ტურ-ოპერატორებს, ასევე არ ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

2021 წელს ტურიზმის ცენტრის ბიუჯეტიდან დაიხარჯა შემდეგი თანხები:

სახელფასო ფონდიდან დაიხარჯა 54593 ლარი.

ცენტრის თანამშრომელი 2 დღით მივლინებით იმყოფებოდა, თბილისის და კასპის ინოვაციების ცენტრში, შეხვდა წარმომადგენლებს, რომელთაც ადგილზე გააცნეს ინოვაციების ცენტრის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო აღჭურვილობა და მუშაობის პრინციპი. დაიხარჯა 30 ლარი, მხოლოდ დღიური თანხა.

გავაფორმეთ ხელშეკრულება შპს „Front News“-თან, რომელიც განათავსებს ჩვენს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ქალაქში მომხდარ სიახლეების შეასახებ, კუთვნილ ვებ-გვერდზე www.Frontnews.ge-ზე, ასევე, უზრუნველყოფს საინფორმაციო მხარდაჭერას. თვეში მომსახურების ღირებულება შეადგენს 450 ლარს.

შევიძინეთ საკანცელარიო მასალა (კალმები, ფანქრები, ბაინდერები, სწრაფჩამკერები, ფურცლები და სხვა) ინოვაციების ცენტრისათვის და ტურიზმის ცენტრისათვის. დაიხარჯა 456.51 ლარი.

შევიძინეთ რეცხვა-ქიმიწმენდის და სანიტარული საგნები, რათა ერთი წლის განმავლობაში ვუზრუნველვეყოთ სანიტარული დასუფთავება ინოვაციების ცენტრის, პარკში არსებულ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრის და ტურიზმის ცენტრის თანამშრომლების სამუშაო ოთახების. დაიხარჯა 588,10 ლარი.

ინოვაციების ცენტრისათვის შევიძინეთ კომპიუტერის მაუსები და ყურსასმენები (15 ცალი), აღნიშნული ნივთები გვესაჭიროება ცენტრის სრულფასოვანი მუშაობისათვის. (ტრენინგების დროს და სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულების დროს). დაიხარჯა 749,70 ლარი.

2020 წლის ოქტომბერში, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის“, „ა(ა)იპ წყალტუბოს ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი“-ის და მდგრადი განვითარების და ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-ის მხარდაჭერით გაიხსნა წყალტუბოს ინოვაციების ცენტრი. აღნიშნული ცენტრის და ფაბ-ლაბი (ფაბრიკაციული ლაბორატორია)-ის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭიროა სხვადასხვა ინვენტარი, როგორც საგანმანათლებლო ასევე შენობის სასწავლო პროცესისთვის საჭირო გარემოს შესაქმნის კუთხით.

მოგეხსენებათ აღნიშნულ ცენტრში ჩატარდება საგანმანათლებლო მიმართულებით სხვადასხვა ტრენინგები, ტრენინგის ჩასატარებლად საჭიროა როგორც კომპიუტერები ასევე პროექტორი, აღნიშნული ტექნიკის გამოსაყენებლად საჭიროა შესაბამისი განათების უზრუნველყოფა, იქედან განმომდინარე რომ ცენტრის სივრცე სადაც უნდა ჩატარდეს ტრენინგები არის ვიტრაჟული სტილის და საჭიროებისამებრ უნდა მოხდეს დარბაზში სინათლის შემცირება (დარბაზის ჩაბნელება) ამისათვის საჭიროა დავამონტაჟოთ ჟალუზი. ჟალუზების შესაძენად გაიხარჯა 1400 ლარი.

ასევე ცენტრის საგანმანათლებლო მიმართულებით ფუნქციონირებისათვის საჭიროა ტრენინგის დაქირავება, რომელიც პირველ ეტაპზე (ინოვაციების ცენტრის) გადაწყვეტილებით ჩატარებს 2 (ორ) კურსს. თემა: სოციალური მედია და კომპიუტერული პროგრამები, აღნიშნული კურსები ჩატარდება მსურველთა 15-15 კაციან ჯგუფებს, პირველ ეტაპზე ეს კურსები ჩატარდება

კვალიფიკაციის ასამაღლებლად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ -ის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლების და ტურიზმის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს. ტრენერის დაქირავებისთვის გაიხარჯა 1000 ლარი.

2021 წლის აპრილიდან 2021 წლის 30 მაისის ჩათვლით ინოვაციების ცენტრში ჩავატარეთ ტრენინგ კურსები, თემაზე „სოციალური მედია მენეჯმენტი“ და „საოფისე პროგრამები“.

კურსის დასრულების ბოლოს მსმენელები, რომლებმაც გაიარეს ჩვენს მიერ ორგანიზებული სასწავლო კურსები და გადავეცით ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

13 (ცამეტი) ცალი, ჯამში ღირებულება 26 (ოცდაექვსი) ლარი.

2021 წლის 5 მაისს ვუმასპინძლეთ ინფო-ტურს ყაზახეთიდან.

ინფო-ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს ბალნეოკურორტი წყალტუბო, ბალნეო-სარეაბილიტაციო ცენტრი „ბი ჰელსი“ და წყალტუბოს ცენტრალური პარკი.

ტურის წარმომადგენლებს ვუმასპინძლე საქმიანი სადილით რესტორან „მანგოლია“-ში. ინფო-ტური შედგებოდა 20 წარმომადგენლისაგან. გაიხარჯა 726 ლარი.

2021 წლის ივლისში ჩავატარეთ ინფო ტური ყირგიზეთიდან, ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს წყალტუბოში არსებული სხვადასხვა ტურისტული ობიექტები

2021 წლის ოქტომბერში იმედის ტელევიზიამ გადაიღო გადაცემა „საიმედო ტური“ ქეთუნა ბუდალაშვილთან ერთად

2021 წლის ნოემბერში ა(ა)იპ „იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“ და წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრის თანადგომით წყალტუბოში მიმდინარეობდა ფილმის გადაღება თემაზე : წყალტუბო და აფხაზეთიდან დევნილები“

2021 წლის დეკემბერში წყალტუბოს ტურიზმის განვითარების ცენტრისა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით ჩავატარეთ ტრენინგი თემაზე: „სოფლის ტურიზმი და ტურისტული თავისებურებები სოფლად“. ტრენინგი იყო ორ დღიანი და ესწრებოდა 15 მდე ტურისტული ობიექტის წარმომადგენელი

2021 წლის 20, 21, 22 დეკემბერს წყალტუბოში არსებულ ტურისტულ ობიექტებთან ერთად ჩავერთეთ სურსათის უვნებლობის პროგრამაში, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ

ასევე დეკემბერში ჩატარდა ორი კონფერენცია თემებზე:

1. სტანდარტები ტურიზმში
2. კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი

ასევე ცენტრის საგანმანათლებლო ფუნქციონირებისათვის საჭიროა საგანმანათლებლო ინვენტარის შექმნა კერძოდ: რობოტიკი ნაკრებების (mBoti, არდუინო და პროგრამირებადი დაფები) აღნიშნული პროდუქტით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სკოლების პირველიდან მეშვიდე

კლასის ჩათვლით მოსწავლეებს, ჭკვიანი ბლოკ სქემების გამოყენებით უკვე შეეძლება ააწყონ უამრავი სხვადასხვა ტიპის ჭკვიანი მოწყობილობა, შექმნან მისი კონსტრუქცია და აამუშაონ პროტოტიპი, კომპლექტი შედგება მრავალი ბლოკ სქემებისაგან, რომლებიც სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ და კონსტრუქტორისგან რითიც უამრავი რამის შექმნა შესაძლებელი, აღნიშნულის გამოყენებით ბავშვები შეძლებენ ისწავლონ მომავლის პროფესიები და ტექნოლოგიები. აღნიშნულის შესაძენად გაიხარჯა 1170 ლარი.

2021 წელს მოვიგეთ საგრანტო კონკურსი წყალტუბოს განვითარების ჯგუში. გამარჯვებული პროექტის „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრი“ - ს ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარების შესაძენად. ცენტრში იფუნქციონირებს ასევე ფაბ-ლაბი(ფაბრიკაციის ლაბორატორია) მაღალი ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი სახელოსნო, რომელიც მომხმარებელს შესთავაზებს ციფრულ ფაბრიკაციას.